28/02/2025

MES 3 25 0000222654

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 20.02.2025
სხდომის დაწყებისდრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:22 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ **ლომინაძე (II, III)**
სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე (I),
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2]-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **თამარ ლომინაძე -** სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. **დავით ტეფნაძე -** შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
6. **აკაკი ხელაძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ციური დურული -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **თამარ ტუფინაშვილი** – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
9. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
10. **დიმიტრი ჯაფარიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;

11. **ხათუნა თოდაძე** – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
12. **ვასილ კიკუტაძე** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
13. **დიანა მჭედლიშვილი** –შპს „კავკასიის უივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
14. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
15. **ქეთევან ნანობაშვილი** – შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის” ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომა დგენლები:

1. **გიორგი ირემაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
2. **ქეთევან პავლიაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

- ივანე ჯაგოდნიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი;
- ხათუნა მხეიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე;
- დავით მახვილაძე - საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი;
- ბორის გითოლენდია - სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
- გუგული ყურაშვილი - ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
- ქეთევან ქუთათელაძე - ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;
- რუსუდან ქუთათელაძე - ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
- ნია ნათბილაძე - სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ნინო ჩიკვილაძე - ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- მანანა მაღრაძე - ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
- ავთანდილ ადეიშვილი - ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის მენეჯერი;
- გოდერძი ტყეშელაშვილი - "სამეწარმეო მენეჯმენტის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- კონსტანტინე ხმალაძე - "ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის” დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- გიორგი პაპუაშვილი - პროფესორი, სამართლის სკოლის დეკანი;
- მარინა მესხი - ასოცირებული პროფესორი, სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ზაზა მეიშვილი - პროფესორი, სისხლის სამართლის პროგრამის ხელმძღვანელი;
- ქეთევან ერემაძე - პროფესორი, საჯარო სამართლისა და პოლიტიკის პროგრამის ხელმძღვანელი;
- კონსტანტინე ჩოკორაია - ასოცირებული პროფესორი.

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი:

- კახაბერ ლაზარაშვილი - რექტორი;
- დავით ბოსტოღანაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- თეა იმედაძე - რექტორის მრჩეველი საერთაშორისო და ადმინისტრაციულ საკითხებში;
- რუსუდან ჩიქოვანი - ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების საკითხებში;
- ზვიად როგავა - ვიცე-რექტორი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიმართულებით / იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ/შ;
- ზუხრა მაცაბერიძე - იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
- სოფო ჩქოფოია - იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სპეციალისტი;
- ეკა ლუაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- ნინო ჯავახიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
- ქეთევან აფთარაშვილი - განათლების დეპარტამენტის უფროსის მ/შ / განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი;
- დავით სიხარულიძე - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
- ზურაბ აზნაურაშვილი - საჯარო მართველობის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები

- მამუკა ბენაშვილი (I)
- ეკატერინა ზაქარაძე (I)
- ეკა დევიძე (I)
- ზურაბ აზნაურაშვილი (I)
- ბექა მარუაშვილი (I)
- ია ნაცვლიშვილი (I)
- გიორგი არქანია (I)
- გიორგი მახარობლიშვილი (II)
- გიორგი ფარეშიშვილი (II)
- ნინო ტალიკაძე (II, III)
- თამარ ბერიშვილი (III)
- ალექსანდრე კალანდაძე (III)

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის პირველ საკითხს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, ხოლო მე-2 და მე-3 საკითხის განხილვას საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძენ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - ,,საინჟინრო მენეჯმენტის" საბაკალავრო, ,,სამეწარმეო მენეჯმენტის" სამაგისტრო, ,,საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების" საბაკალავრო (180 ECTS კრედიტი), ,,ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო (60 ECTS კრედიტი), ,,საჯარო მმართველობის" რუსულენოვანი სამაგისტრო, ,,ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის" სადოქტორო და ,,საჯარო მმართველობის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის შესახებ;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისი ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრტედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, გიორგი ირემაშვილმა, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის წერილით საფუძველზე, შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხის განხილვა გადადებულიყო აკრედიტაციის საბჭოს შემდეგ სხდომაზე. აკრედიტაციის განიხილა ცენტრის შუამდგომლობა და ერთხმად დააკმაყოფილა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - ,,საინჟინრო მენეჯმენტის" საბაკალავრო, ,,სამეწარმეო მენეჯმენტის" სამაგისტრო, ,,საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების" საბაკალავრო (180 ECTS კრედიტი), ,,ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო (60 ECTS კრედიტი), ,,საჯარო მმართველობის" რუსულენოვანი სამაგისტრო, ,,ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის" სადოქტორო და ,,საჯარო მმართველობის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის შესახებ;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - ,,საინჟინრო მენეჯმენტის" საბაკალავრო, ,,სამეწარმეო მენეჯმენტის" სამაგისტრო, ,,საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების" საბაკალავრო (180 ECTS კრედიტი), ,,ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო (60 ECTS კრედიტი), ,,საჯარო მმართველობის" რუსულენოვანი სამაგისტრო, ,,ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის" სადოქტორო და ,,საჯარო მმართველობის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის შესახებ.

პროგრამა 1
პროგრამის დასახელება: საინჟინრო მენეჯმენტი;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მენეჯმენტის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;

პროგრამა 2
პროგრამის დასახელება: ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტი;
საფეხური: დოქტორანტურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მენეჯმენტის დოქტორი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 60;

პროგრამა 3
პროგრამის დასახელება: სამეწარმეო მენეჯმენტი;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მენეჯმენტის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

პროგრამა 4
პროგრამის დასახელება: საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიები;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა 0412;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 180;

პროგრამა 5
პროგრამის დასახელება: ფინანსური აღრიცხვა და აუდიტი;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი აღრიცხვასა და დაბეგვრაში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: აღრიცხვა და დაბეგვრა 0411;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 60;

პროგრამა 6
პროგრამის დასახელება: საჯარო მმართველობა;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413;
სწავლების ენა: რუსული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

პროგრამა 7
პროგრამის დასახელება: საჯარო მმართველობა;
საფეხური: დოქტორანტურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის დოქტორი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 35;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ (ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს თამარ ლომინაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ.
თვითაცილებების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის პირველ საკითხის განხილვას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ზურაბ აზნაურაშვილმა, საბჭოს წევრებს გააცნო მეორე სტანდარტში გაცემული რეკომენდაციები. მან აღნიშნა, რომ 2.1 კომპონენტში, ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო 60 კრედიტიანი პროგრამისთვის, გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა მიღების წინაპირობად, სულ მცირე, 5-წლიანი პროფესიული გამოცდილების დაწესების საკითხს. გარდა ამისა, რუსულენოვანი საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა დაშვების წინაპირობად უნდა იყოს მოთხოვნილი რუსული ენის ცოდნა და ეს კომპეტენცია უნივერსიტეტის მიერ უნდა მოწმდებოდეს. მან დაადასტურა, რომ კლასტერული რეკომენდაცია ამ ნაწილში არ გაცემულა.

ექსპერტმა, ეკატერინე ზაქარაძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და რიგი რეკომენდაციები დარჩა უცვლელად. მან წარადგინა მე-4 სტანდარტში გაცემული რეკომენდაციები. 4.1 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის მიხედვით, უნივერსიტეტმა უნდა წაახალისოს ის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ათწლეულებია ასწავლიან უნივერსიტეტში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების არგუმენტს, იმის შესახებ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრეტენზია არავის გამოუთქვამს, არ ითვალისწინებენ, რადგან მათ მიერ უნივერსიტეტისგან გამოთხოვილ 2023-2024 წლებით დათარიღებულ „აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევაში“ ნათლად ჩანს პერსონალის სურვილი, რომ უნივერსიტეტმა გააძლიეროს პერსონალის წახალისების მექანიზმები, თუნდაც საერთაშორისო ჩართულობის ან ფინანსური წახალისება. ბიუჯეტის მხრივ თუ შევხედავთ, შვიდი წარმოდგენილი პროგრამიდან სამეცნიერო სამუშაოებში მხოლოდ ერთ პროგრამას აქვს ჩადებული თანხა, დანარჩენს 0 აქვს. ასევე, საგანმანათლებლო მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, მხოლოდ 5000 ლარია გაანგარიშებული ყველა პროგრამაში, გარდა ერთისა. აქედან გამომდინარე, დაიწერა აღნიშნული რეკომენდაცია და ის ნარატივის ნაწილი, რომელიც უნივერსიტეტმა დააბრუნა, არ იქნა გათვალისწინებული. სამეწარმეო მენეჯმენტის სამაგისტრო და ინოვაციებისა და ოპერაციის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბოლო წლებში აკადემიურ პერსონალს არ ჰქონდა კვლევები და აქტივობები. ინოვაციებისა და ოპერაციების მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამაზე მომუშავე 10 პერსონალიდან 4 მათგანს ბოლო რამდენიმე წელია არ უდასტურდება აქტივობები და გამოქვეყნებული შრომები. ასევე, სამეწარმეო მენეჯმენტის პროგრამაზე, 13 განმახორციელებელი პერსონალიდან 6-ს არ უდასტურდება აღნიშნული.

ექსპერტმა, ია ნაცვლიშვილმა, მეხუთე სტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, რომ 5.1 კომპონენტში გაცემულია კლასტერული რეკომენდაცია, რომელიც იმიტომ გაიცა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში გასაუმჯობესებელი მხარეების სავალდებულოდ შესავსები გრაფა და მხარეების გაუმჯობესებისთვის საჭირო აქტივობების შესახებ არანაირი ინფორმაცია არ იყო წარმოდგენილი. 5.3 კომპონენტში კლასტერული რეკომენდაცია გაცემულია იმის საფუძველზე, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების საშუალებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეეძლო დეტექცია და პრევენცია იმ გამოწვევების, რომლებიც პროგრამის სტრუქტურასთან მიმართებით გამოიკვეთა და აღნიშნულია 1.4 კომპონენტში. ასევე, 2 პროგრამასთან დაკავშირებით არის გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ეხება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასთან და უცხოურ პროგრამებთან შედარების ანალიზს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის აღწერილობაში მოცემულია ბმულები, სადაც მითითებულია, რომელი პროგრამების მიხედვით შეიმუშავეს აღნიშნული პროგრამა, დეტალური და სიღრმისეული ანალიზი მოცემული არ არის. ამ ორი პროგრამის გარდა, კლასტერში წარმოდგენილ ყველა დანარჩენ პროგრამას თან ახლდა დეტალური ანალიზი უცხოურ პროგრამებთან დაკავშირებით, ამიტომ გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია და შენარჩუნდა უცვლელად არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ.

ექსპერტმა, მამუკა ბენაშვილმა აღნიშნა, რომ 1.4 კომპონენტთან მიმართებით არ იყო მოცემული პროგრამების დეტალური ანალიზი , ამიტომაც გაიცა რეკომენდაცია. დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაისვა დამაზუსტებელი კითხვები პროგრამების ხელმძღვანელებთან იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა შედარებით ანალიზში განხილულ უცხოურ და კლასტერის პროგრამებს შორის განსხვავებები, რაზეც უნდა ყოფილიყო მკაფიო პასუხები, თუმცა დაწესებულებისგან მკაფიო პასუხები არ მიუღიათ.

ექსპერტმა, გიორგი არქანიამ, მე-3 სტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, რომ რეკომენდაციებში ძირითადი აქცენტი გამახვილებული იყო სტუდენტებთან თანამშრომლობასა და კომუნიკაციაზე. განსაკუთრებით, ახალი პროგრამების შემუშავების პროცესში მათ ჩართვაზე, რათა სტუდენტების მხრიდან მეტი რეკომენდაცია და რჩევა იყოს მოსმენილი. ასევე, გამოითქვა მოსაზრება, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების

მხარდაჭერის გაზრდა, განსაკუთრებით კვლევით საქმიანობაში. ასევე, ინტერნაციონალიზაციის კუთხით სტუდენტების ფინანსური წახალისების საჭიროებაზე გაკეთდა აქცენტი. ინტერვიუების დროს გამოჩნდა, რომ პრაქტიკული ასპექტები სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. აგრეთვე, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს უფრო მეტი სტაჟირება, მასტერკლასი, მეტი საჯარო ლექცია, სპეციალისტებთან შეხვედრა და ა.შ. რეკომენდებულია საერთო პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობისა და გაცვლითი პროგრამების მასშტაბების გაზრდა. ამავე სტანდარტთან მიმართებით გაიცა რჩევა კვლევითი მიმართულების გაძლიერების შესახებ. 3.2 კომპონენტთან მიმართებით აღნიშნა, რომ ნაშრომების განხილვის შედეგად გამოჩნდა, რომ აკადემიური წერის გარკვეული წესები იყო დარღვეული, ამიტომ რჩევა გაიცა, რომ მეტი ყურადღება მიექცეს ხელმძღვანელების სტუდენტებთან მუშაობას ამ მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებ წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ, განმარტა, რომ უნივერსიტეტმა საკმაოდ მკაფიოდ წარმოადგინა არგუმენტირებულ პოზიციაში მათი დამოკიდებულება ყველა არსებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. მისი განმარტებით 1.1 კომპონენტში წარმოდგენილი რეკომენდაცია, რომელიც უკავშირდებოდა აკადემიურ და პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, დაწესებულების მხრიდან უკვე გათვალისწინებულია და დადასტურდა, რომ ამ მიმართულებით პრობლემა აღმოიფხვრა. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებული იყო თავად უნივერსიტეტისთვისაც, რადგან კლასტერული აკრედიტაციის შემოსვლის შემდეგ, პირველად იყო 4 სხვადასხვა ფაკულტეტის პროგრამა გაერთიანებული ერთ კლასტერში. 1.3 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის ნაწილში, რომელიც ეხება კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგების გრძელვადიანი მონიტორინგის მეტად თანმიმდევრული და სისტემური მიდგომის შემუშავებას, მოიხსნა პრობლემა და დადასტურდა, რომ რეალურად გამოწვევა აღარ არსებობს. რეკომენდაცია, რომელიც სწავლის შედეგების მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის კუთხით უფრო სტრუქტურულ მიდგომას მოითხოვდა, ამოღებულ იქნა არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების შედეგად. შემდეგი რეკომენდაციის თანახმად, ყველა პროგრამაში, განსაკუთრებით კი საბაკალავრო პროგრამებში, უნდა ჩამოყალიბდეს ფორმალიზებული უკუკავშირის ციკლი, რომლის შეფასების შედეგები პირდაპირ გამოიწვევს პროგრამულ ცვლილებებს. აღნიშნული რეკომენდაცია პრინციპულად ვერ გაიზიარა დაწესებულებამ, რადგან პროგრამაში ცვლილებას ძალიან ბევრი ფაქტორი განაპირობებს, რომლებშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია უკუკავშირის ციკლი, თუმცა არა ერთადერთი. მე-5 სტანდარტის ნაწილში წარმოდგენილ რეკომენდაციებზე დაწესებულებამ დეტალურად წარადგინა, თუ როგორ მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, მათ შორის, უკუკავშირის ციკლში, მაგრამ ვერც ერთი უკუკავშირი, თუნდაც კომპლექსურად, მიღებულ ინფორმაციასთან ერთად განხილვის, ანალიზისა და საბოლოო შეფასების გარეშე პირდაპირ ცვლილებებს ვერ გამოიწვევს პროგრამაში. სწორედ აქ ჩნდება პრობლემა, რადგან რეკომენდაციაში წერია, რომ უკუკავშირის შედეგად შეიტანონ პირდაპირი ცვლილებები პროგრამაში. 1.4 კომპონენტში რეკომენდებულია, რომ გადაიხედოს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სტრუქტურა იმისთვის, რომ დაზუსტდეს პროგრამების სტრუქტურაში ისეთი საგნების არსებობის საჭიროება, რომლებიც არ არის წარმოდგენილი არც ერთ პროგრამაში. დავით მახვილაძემ განმარტა, რომ როდესაც უცხოური რეიტინგული პროგრამების ჭრილში ადარებენ დაწესებულების პროგრამებს თავსებადობის დადგენისათვის, უნივერსიტეტი ამას არსებული რესურსების, შრომის ბაზრისა და მიზნების საფუძველზე აკეთებს. მაშასადამე, დაწესებულება ვალდებული არაა, დაასაბუთოს თუ რატომ აქვს, მაგალითად, ერთი კონკრეტული საგანი იმ უცხოური პროგრამისგან განსხვავებით, რომელსაც შეადარეს. 2.2 კომპონენტში გაცემული ერთადერთი კლასტერული რეკომენდაცია გულისხმობს საუნივერსიტეტო აქტივობებში ჩართვით მოტივირებული სტუდენტების რაოდენობის ზრდას. აღნიშნულ რეკომენდაციას იზიარებს და ყველაფერს აკეთებს იმისათვის,

რომ გაზარდოს სტუდენტთა დაინტერესება ამ კუთხით, თუმცა ეს უნდა იყოს რჩევა და არა რეკომენდაცია, რადგან საუბარია უკვე არსებულის გაუმჯობესებაზე. ანალოგიური პრინციპით, 3.1 კომპონენტში გაცემულ კლასტერული რეკომენდაცია, რომ უნივერსიტეტმა და აკადემიურმა პერსონალმა უნდა გააუმჯობესოს სტუდენტებთან კომუნიკაცია, მათგან მეტი რეკომენდაციისა და რჩევის მიღების მიზნით, მისაღებია როგორც რჩევა. მან ხაზი გაუსვა, რომ დაწესებულებას მჭიდრო კავშირი აქვს სტუდენტებთან პროგრამების შემუშავების პროცესში. 4.1 სტანდარტში რეკომენდებულია, რომ ყურადღება გამახვილდეს მოწვეული პერსონალის პირობების გაუმჯობესებაზე, სამეცნიერო განვითარების მხარდაჭერაზე, აქტივობების დაფინანსებასა და სხვა. ასევე რეკომენდებულია ისიც, რომ აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა წარადგინოს ყოველწლიური ანგარიში თავიანთი როგორც სასწავლო, ისე კვლევითი მიმართულებით განხორციელებული საქმიანობისა, რათა უნივერსიტეტის მიერ გაანალიზდეს და გამოიკვეთოს ჩასატარებელი წასახალისებელი ღონისძიებების საჭიროების საკითხი. დავით მახვილაძემ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საქართველოს აკადემიური შრომითი ბაზრის მიმართებით არ აქვს ცუდი პირობები. დაწესებულებამ შესაძლებლობების შესაბამისად გაზარდა პერსონალის ფინანსური ანაზღაურება. ასევე, დაფინანსდა სამეცნიერო ღონისძიებები, რომლებიც სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმით იყო განსაზღვრული და პრაქტიკულად, არც ერთი მიმართულება არ ჩავარდნილა ფინანსური თუ სხვა ორგანიზაციული მიზეზით. გარდა ამისა, ახლო წარსულში დაწესებულებამ დააფინანსა ჰეგელის კონგრესი, გააკეთა სიმპოზიუმები, მოიწვია საერთაშორისო კონსულტანტები. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტს აქვს ერთი უშუალოდ პროგრამის ბიუჯეტის ნაწილი და ასევე, საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ბიუჯეტი. განვლილი ავტორიზაციისთვის წარდგენილ დოკუმენტებში, სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების დაფინანსების წილი წარმოადგენს მთლიანი უნივერსიტეტის ბიუჯეტის 17,2%-ს. შესაბამისად, ყველა პროგრამის სამეცნიერო და კვლევითი ღონისძიება არის გათვალისწინებული საუნივერსიტეტო ბიუჯეტში და უზრუნველყოფილია. მაშასადამე, ფინანსური მხარდაჭერის არარსებობის გამო არც ერთი ღონისძიება არ ჩაშლილა. რაც შეეხება მე-4 სტანდარტის მე-3 კომპონენტს, რომელშიც საუბარია სტუდენტებისა და ახალგაზრდა მკვლევრების მოზიდვა/შენარჩუნებაზე და მდგრადობის ხელშეწყობაზე, აღინიშნა, რომ არა მხოლოდ აკრედიტაციის მიღების ჭრილში, არამედ უნივერსიტეტის განვითარების კუთხითაც, პროგრამები ახორციელებს ყველა ტიპის ღონისძიებას, აანალიზებს სწავლის გაგრძელების მაჩვენებლებს. კვლევებზე დაყრდნობით, სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი არის ძალიან მაღალი. დოქტორანტურის მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სხვა უნივერსიტეტის სტუდენტების დაინტერესებაც საკმაოდ მაღალია. ახალგაზრდა პროფესიონალებისა და მკვლევრების ნაწილში დაწესებულებას ჰყავს თავისივე დოქტორანტები ასისტენტების სტატუსებით. ასევე რეკომენდებულია, გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის კვლევასთან, გამოქვეყნებასთან და აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ინტერნაციონალიზაციის აქტივობების მხარდაჭერა. ეს რეკომენდაცია დაწესებულებისთვის სრულად მისაღებია და დაწესებულება მუდმივად ცდილობს ამ მიმართულებით უფრო მეტი შესაძლებლობის შეთავაზებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია, რომ შემუშავდეს თვითშეფასების ანგარიშის ფორმა, დოკუმენტის წარდგენის შემდეგ ამოღებულ იქნა. ასევე, ამოღებულია 4.3 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია და ასევე, 4.5 კომპონენტში გაცემული ერთი კლასტერული რეკომენდაცია აკადემიური პერსონალის ხელშეწყობასთან დაკავშირებით. 4.5 კომპონენტთან მიმართებით კლასტერულად რეკომენდებულია, გაიზარდოს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისა და ინტერნაციონალიზაციისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი. დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰყავს დიდი სამეცნიერო პერსონალი. სრულყოფილად ფუნქციონირებს 15 სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომლებსაც უნივერსიტეტის ბიუჯეტი ფინანსურად სრულად უჭერს მხარს. უნივერსიტეტი მუდმივად ცდილობს ამ მხრივ კვლავ გადადგას განმავითარებელი ნაბიჯები. 5.1 სტანდარტთან დაკავშირებით გაცემულია რეკომენდაცია, რომ

გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენის მიზნით უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს პროგრამების ყოვლისმომცველი თვითშეფასება, ასევე გასაუმჯობესებელ სფეროებთან მიმართებით დაგეგმოს აქტივობები და განსაზღვროს ვადები. ხოლო 5.3 სტანდარტში რეკომენდებულია, რომ პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში პროგრამებისა და სასწავლო კურსების შეფასებისას უნივერსიტეტმა გამოავლინოს და აღმოფხვრას სწავლის მეთოდებში, შეფასების მეთოდებში, რუბრიკებში, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებში წარმოჩენილი ხარვეზები. თვითშეფასების დოკუმენტში დაწესებულებას ნამდვილად ჰქონდა ხარვეზი, თუმცა უნივერსიტეტი ცდილობს, თვითშეფასების დროს გამოიყენოს ყველა ის ინსტრუმენტი, რომლებიც გაანალიზებს ანალიზის პროცესს. ამიტომ დაწესებულება ეცადა, რომ სრულყოფილად წარმოედგინა უნივერისტეტის, ფაკულტეტისა და პროგრამის დონეზე როგორ აფასებენ, აანალიზებენ და საჭიროების შემთხვევაში, ცვლიან პროგრამებს ან გეგმავენ კონკრეტულ ღონისძიებებს. ტექნიკური ხარვეზების მხრივ, 1.2 კომპონენტთან დაკავშირებით, „საინჟინრო მენეჯმენტის“ ქართულენოვან პროგრამაზე რეკომენდებულია, რომ გადაიხედოს ფრაზა ,,ღრმა და სისტემური ცოდნა“ იმისთვის, რომ მოიცვას სპეციფიური აღწერები და ა.შ. დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ თავად რეკომენდაცია არ არის შინაარსობრივად შესაბამისობაში ერთმანეთთან. დაწესებულებას საინჟინრო პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილში არ აქვს ნახსენები ფრაზა ,,ღრმა და სისტემური ცოდნა“. მაშასადამე, ეს არის წმინდა ტექნიკური შეცდომა. 3.1 კომპონენტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ 5 პროგრამასთან მიმართებით გაცემულია იდენტური რეკომენდაცია კლასტერულ რეკომენდაციების ჭრილში, რომელიც გულისხმობს, მეტი მხარდაჭერა შესთავაზონ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს სამომავლო კვლევით საქმიანობაში და ეფექტური შესაძლებლობები ინტერნაციონალიზაციის კუთხით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო და ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერის საკითხი კლასტერულად არაერთგზის გადაიფარა, ამიტომ უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური რეკომენდაციები შინაარსობრივად დუბლირებულია. 5.3 კომპონენტთან მიმართებით, „საინჟინრო მენეჯმენტის“ ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამასა და „ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის“ ქართულენოვან სადოქტორო პროგრამაზე რეკომენდებულია, პროგრამა შედარებულ იქნას უცხოურ ანალოგიებთან და გადაწყდეს საოფისე პრაქტიკის ინტეგრირება. ეს რეკომენდაცია, უნივერსიტეტის აზრით, არ არის მისაღები, რადგან “Benchmarking”-ის საკითხი დეტალურად არის აღწერილი თვითშეფასებასა და არგუმენტირებულ პოზიციაში. „ინოვაციებისა და ოპერაციების მენეჯმენტის“ ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამისთვის 1.2 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია , რომ გადაიხედოს პროგრამის მიზნები იმისათვის, რომ პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად პრიორიტეტი მიენიჭოს ორიგინალურ კვლევით წვლილს. ეს გადახედვა უნდა გამოხატავდეს დოქტორანტების დამოუკიდებელ კვლევაში ჩართულობის მოლოდინს, რომელიც გააძლიერებს ცოდნას ინოვაციებისა და ოპერაციების მენეჯმენტის სფეროში. ამავე კომპონენტის ფარგლებში „სამეწარმეო მენეჯმენტის“ ქართულენოვან სამაგისტრო პროგრამაზე „რეკომენდებულია, გაფართოვდეს პროგრამის მიზნები, რათა დეტალურად იყოს აღწერილი, თუ რას წარმოადგენს მაღალი დონის მენეჯერი. აღნიშნული უნდა მოიცავდეს სპეციფიკურ კომპეტენციებს, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო პრაქტიკასთან, კულტურათა შორის ლიდერობასთან, გლობალური ბაზის დინამიკასთან.“ უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ უმჯობესი იქნება მეტი სიცხადე შევიდეს მიზნების ამ ნაწილში. ასევე აღინიშნა, რომ პროგრამის მახასიათებელი შესაბამისობაშია მოყვანილი დარგობრივ მახასიათებლებთან და საფეხურთან. 1.2 კომპონენტში, „სამეწარმეო მენეჯმენტის“ ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამისთვის რეკომენდებულია, რომ გადაიხედოს ფრაზა „ღრმა და სისტემური ცოდა“ იმისთვის, რომ მოიცავდეს სპეციფიკურ აღწერებს, რომლებიც აღწერენ მოსალოდნელი ცოდნის სიღრმესა და მასშტაბს. ამ პროგრამაზე უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს კონკრეტული სწავლის შედეგები და ამ კუთხით უნივერსიტეტი ვერ ხედავს გარკვეულ შინაარსობრივ გამოწვევას. ამიტომ, დაწესებულება არ ეთანხმება აღნიშნულს. „საჯარო მმართველობის“ ინგლისურენოვან

პროგრამაზე არის რეკომენდაცია, რომ სიცხადისა და გაზომვადობის გაუმჯობესების მიზნით, უფრო კონკრეტულად, განისაზღვროს სუბიექტი ტერმინი, როგორიცაა ,,ინოვაციური მეთოდები“ და „შესაბამისი ზომები“. უნივერსიტეტი ამ რეკომენდაციას ვერ ითვალისწინებს, რადგან მეტი სიცხადით ვერ წარმოადგენს მას. 1.3 კომპონენტში „საინჟინრო მენეჯმენტის“ ქართულენოვანი პროგრამისთვის რეკომენდებულია, რომ გაფართოვდეს შეფასების მექანიზმები თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უკეთ ასახვის მიზნით. დაწესებულებამ იმსჯელა ამის შესახებ და თვლის, რომ პრაქტიკული ნაწილი დამაკმაყოფილებლად არის წარმოდგენილი პროგრამაში. ასევე, რეკომენდებულია, რომ აკადემიურმა პერსონალმა, განსაკუთრებით იმათ, რომლებიც ჩართულნი არიან საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში, გაიარონ უწყვეტი ტრენინგი შედეგების შეგროვებისა და ანალიზის გამოყენების შესახებ. დავით მახვილაძის თქმით, უნივერსიტეტი უწყვეტ რეჟიმში ატარებს ტრენინგებს და რა თქმა უნდა ისევ გააგრძელებს ამ საკითხზე მუშაობას გაუმჯობესების მიზნით. 2.1 კომპონენტში „ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის“ 60-კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამისთვის რეკომენდებულია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს აღრიცხვის ან აუდიტის სფეროში, სულ მცირე, 5-წლიანი პროფესიული გამოცდილება. დაწესებულებას პროგრამაში აქვს, რომ დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია, არანაკლებ, 5-წლიანი პროფესიული გამოცდილების ქონა მართვისა და ადმინისტრირების სფეროში. აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში 5-წლიანი გამოცდილების მოთხოვნა ქართული ბაზრისთვის არის არარელევანტური და სხდომის თავმჯდომარის, გოჩა თუთბერიძის კითხვასთან დაკავშირებით, დავით მახვილაძემ დაადასტურა, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიხედვით, პროგრამა იცავს შესაბამისი თემატური კანონმდებლობით მოთხოვნილ პირობებს. რეკომენდაციის გათვალისწინების შემთხვევაში პროგრამა ვერ შეინარჩუნებს მდგრადობას მოთხოვნისა და სტუდენტთა ჩარიცხვის კუთხით. 4.1 კომპონენტში „საინჟინრო მენეჯმენტის“ პროგრამისთვის რეკომენდებულია, რომ მდგრადობის გაძლიერების მიზნით, ახალი პერსონალის მოზიდვით პროგრამის გამრავალფეროვნება. დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ ამ კუთხითაც მუშაობს დაწესებულება, ხოლო პროგრამით დაინტერესება და კონკურსი დიდია, რასაც ხელს უწყობს, მათ შორის, აქცენტირება დოქტორანტებზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, „საინჟინრო მენეჯმენტისა“ და „საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ, რადგანაც სტუდენტს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი ენიჭება, მაშინ სფეროს მოთხოვნების მიხედვით, პროგრამებში აუცილებლად უნდა იყოს სტრატეგიული მენეჯმენტის კურსი. „სამეწარმეო მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამაზე აღინიშნა, რომ „სამეწარმეო სტრატეგიული გარემოს ანალიზის“ კურსი შინაარსობრივად შეუსაბამოა სამაგისტრო დონისთვის და ასევე, რეკომენდებული იქნება სილაბუსში ლიტერატურის ცვლილება, რადგან ძირითადი ლიტერატურა არ შეესაბამება სამაგისტრო დონეს და უფრო სახასიათოა საბაკალავრო დონისთვის. „საჯარო მმართველობის“ რუსულენოვან სამაგისტრო პროგრამაზე კი რეკომენდებულია, რომ კურსი - „სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში“ უნდა იყოს მოცემული სავალდებულო კურსებში. გიორგი ღაღანიძემ, 60-კრედიტიან პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საჭირო იქნება პროგრამის სტრუქტურის ცვლილება, რათა ფინანსური ანალიზსა და ბუღალტერიაში გამოცდილების არ მქონე სტუდენტებმაც მოახერხონ კურსების დაძლევა. პირველ რიგში საბაზისო კურსები უნდა იყოს შეთავაზებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ, განმარტა, რომ უნივერსიტეტი აბსოლუტურად იზიარებს „სტრატეგიული მენეჯმენტის“ საკითხთან დაკავშირებულ რეკომენდაციას. ასევე, დაეთანხმა რეკომენდაციას „სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში“-თან დაკავშირებით. პროგრამაზე მიღების 5 წლიანი პროფესიული გამოცდილების წინაპირობასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ცდილობს შეინარჩუნოს ბალანსი პროგრამის მდგრადობასა და კანონთან შესაბამისობას შორის და შესაბამისად,

მისაღები იქნება თუ 5 წლიანი გამოცდილებიდან ვიწრო სფეროში არსებული გამოცდილება მოთხოვნილი იქნება მხოლოდ 1 ან 2 წელი.
„საინჟინრო მენეჯმენტის“ პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ნაჭყებიამ, დააზუსტა, რომ პროგრამა სტუდენტს ანიჭებს მენეჯმენტის ბაკალავრის ხარისხს და „სტრატეგიული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსიც არის სავალდებულო.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს, მას აინტერესებდა თუ რას გულისხმობდნენ ექსპერტები რეკომენდაციაში, რომ პროგრამის მიზნები მეტად მოვიდეს შესაბამისობაში აკადემიურ და პროფესიულ სტანდარტებთან თუ მათივე თქმით, პროგრამა შესაბამისობაშია დარგობრივ მახასიათებლებთან. მისი აზრით, სასურველი იქნებოდა, თუ მეტად დააკონკრეტებდნენ აღნიშნულ საკითხს და რჩევის სახით წარმოადგენდნენ. „ღრმა და სისტემური ცოდნის“ შესახებ გამოთქმულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან ხაზი გაუსვა იმას, რომ აღნიშნული რეკომენდაცია თითქმის ყველა პროგრამისთვის არის გაცემული სხვადასხვა სახით და ეს სავარაუდოდ ტექნიკური შეცდომა უნდა იყოს, ხოლო რეკომენდაცია რჩევად უნდა გადაკლასიფიცირდეს. პროგრამების სტრუქტურასა და შინაარსთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ უცხოურ პროგრამებთან შედარება არ ემსახურება იმ მიზანს, რომ პროგრამაში, ფაქტობრივად, იგივე საგნები განმეორდეს, მითუმეტეს, როდესაც პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტებთან და დარგობრივ მახასიათებლებთან.
საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კომენტარი გააკეთა 1.3 და 1.4 კომპონენტებში გაცემულ კლასტერულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. მისი აზრით, მეტად გასაგები იქნებოდა, თუ ექსპერტები დააზუსტებდნენ, რას გულისხმობენ უფრო სტრუქტურულ, დეტალიზირებულ და ფორმალიზებულ კავშირებსა და შედეგებში. 1.4 კომპონენტში გამოხატულია მოსაზრება, რომ გარკვეული საგნების დამატებას ითხოვენ სტრუქტურაში, ისეთი საგნებისა, რომლებიც წარმოდგენილი არ არის არც ერთ ანალოგიურ პროგრამაში. საბჭოს წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა ნარატიულ ნაწილში ჩანაწერების ბუნდოვანებას.
მამუკა ბენაშვილმა განმარტა, რომ „Benchmarking“-ს არანაირი აზრი არ ექნება თუ არ გამოიკვეთება მსგავსებები და განსხვავებები. ექსპერტები არ ითხოვენ იდენტურ პროგრამებს, თუმცა არის განსხვავებები, რომლებიც საჭიროებენ განმარტებებს. მაგალითად, როცა „საინჟინრო მენეჯმენტის“ პროგრამაში წარმოდგენილია მხოლოდ ელექტრო ინჟინერიის საგნები, ჩნდება კითხვა, რატომ არ არის წარმოდგენილი ინჟინერიის სხვა სფეროები, ეს უკავშირდება ადამიანური რესურსების დეფიციტს თუ არა და ა.შ. მან აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხებზე ექსპერტთა ჯგუფმა ამომწურავი პასუხები ვიზიტის მიმდინარეობისას ვერ მიიღო და ზოგადად, ვიზიტის მიმდინარეობა გართულებული იყო, რადგან თავმჯდომარე ერთვებოდა დისტანციურად და დეტალურად შესწავლის საშუალება არ იყო.
დავით მახვილაძემ განმარტა, რომ დაწესებულება თავისი პერსპექტივიდან აკეთებს ყველაფერს, იმისათვის, რომ მიიღოს პროგრამების საუკეთესო ვერსია დასავლური გამოცდილებების გათვალისწინებით.
გოჩა თუთბერიძემ აღნიშნულთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დარგობრივ სტანდარტთან არ მოდის წინააღმდეგობაში, ამასთან, მთავარია სწავლის შედეგებზე გადის თუ არა პროგრამა, რასთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ არის. ასევე, პროგრამის შემუშავებისას ფაკულტეტი ამოდის საკუთარი რესურსებიდან. ამიტომ, მისი აზრით, ამ საკითხის რჩევის სახით განხილვა უმჯობესი იქნებოდა.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების უმრავლესობას რჩევის სახე უნდა ჰქონდეს. მან ყურადღება გაამახვილა „Benchmarking“-ზე და თქვა, რომ მართალია, უნდა იყოს გათვალისწინებული საერთაშორისო გამოცდილებები და საუკეთესო პრაქტიკები, მაგრამ თითოეულ პროგრამას თავისი უნიკალურობა უნდა ჰქონდეს: ის, რაც გამოარჩევს მას სხვა პროგრამებისგან. მან კითხვით მიმართა ექსპერტებს 3.1 კომპონენტში კლასტერის მე-5 პროგრამისთვის გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უფრო მეტი აქცენტი გაკეთდეს კვლევებზე, გაუმჯობესდეს ხელშეწყობა კვლევითი მიმართულებით და საერთაშორისო კვლევითი მიმართულებით . მან განმარტა, რომ პროგრამა

არ არის კვლევებზე ორიენტირებული და არის 60-კრედიტიანი პროგრამა, რომელიც ფოკუსირებულია პრაქტიკული გამოცდილების გაუმჯობესებაზე, პროფესიული თვალსაზრისით პიროვნების მეტად განვითარებაზე. შესაბამისად, რატომ გადაწყვიტა ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული რეკომენდაცია აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით განსაზღვრულიყო.
დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება ეთანხმება აღნიშნულ აქცენტებს.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა 5.1 კომპონენტის შესახებ კითხვით მიმართა ექსპერტებს. კლასტერულ აკრედიტაციასთან დაკავშირებით იყო ხარვეზი, თვითშეფასების ანგარიშში არ იყო წარმოდგენილი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, გაწერილი ღონისძიებები. შესაბამისად, გაიცა კლასტერული რეკომენდაცია ამასთან დაკავშირებით. ნებისმიერი რეკომენდაციის შესრულებისთვის გათვალისწინებულია გარკვეული ვადები. საბჭოს წევრს აინტერესებდა, თუ რა ვადა სჭირდებოდა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებას და რა სახით წარმოადგენდა დაწესებულება შესრულების მტკიცებულებას.
ექსპერტმა, ია ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს გამართული პერიოდული მონიტორინგის სქემა, რომელშიც განსაზღვრულია მრავალფეროვანი მექანიზმები და ვადები, თუმცა ეს არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულებებად. ამგვარად, დაწესებულებას შეუძლია თავის გართმევა ერთი სემესტრის განმავლობაშიც.
საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ, „საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების“ პროგრამასთან დაკავშირებით, რომელიც ბაკალავრის ხარისხს ანიჭებს ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციით ფინანსებში, აღნიშნა, რომ პროგრამაში ტექნოლოგიების სოლიდურად წარმოჩენა არის აუცილებელი და პრაქტიკულად, ასეც არის. მან ხაზუ გაუსვა „ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები ფინანსურ ინდუსტრიაში“ კურსის ფუნამენტურ მნიშვნელობას ამ მიმართულებით. გარდა ამისა, რჩევის სახით გასათვალისწინებელია, არა მხოლოდ ტრადიციული ტექნოლოგიური ბლოკის არსებობა, არამედ სასურველია ახალი ტექნოლოგიური კურსის ჩართვაც საბანკო და საფინანსო სფეროში, რომელიც დღეს განსაზღვრავს ამ ციფრულ ტრანსფორმაციას. ეს არის „ბლოკჩეინი“, „ფინტექი“, ციფრული ვალუტა (კრიპტოვალუტა), ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება. ეს ცვლილებები დაეხმარება პროგრამას ბაზრის ციფრულ ტენდენციებთან ადაპტირებაში. ასევე, სასურველია პროგრამას დაემატოს კურსი საბანკო და საფინანსო სფეროს კიბერუსაფრთხოების მიმართულებით. „ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის“ პროგრამასთნ დაკავშირებით დიმიტრი ჯაფარიძემ ხაზი გაუსვა „მეწარმეობა და საწარმო“-ს კურსის მნიშვნელობას, ვინაიდან ეს კურსი ხელს უწყობს დარგობრივი სტანდარტით მოთხოვნილი ბიზნესის ადმინისტრირების კომპეტენციის გამტკიცებას პროგრამაში. აღრიცვისა და აუდიტის კომპეტენციების მიმართულებით პროგრამა სრულია, თუმცა მოცულობიდან გამომდინარე ბიზნესის ადმინისტრირების კომპეტენციების განვითარებაზე ნაკლები საკურსო რესურსი რჩება. ამრიგად, ძირითად სავალდებულო ნაწილში ამ სასწავლო კურსის არსებობა იქნებოდა გამართლებული.
გოჩა თუთბერიძემ „ინოვაციებისა და ოპერაციების მენეჯმენტის“ სადოქტორო პროგრამის შესახებ აღნიშნა, რომ ცალკეულ სასწავლო კურსებში გადასახედია ლიტერატურა. ისინი უნდა იყოს აგებული სამეცნიერო სტატიებსა და მონოგრაფიებზე და არა სახელმძღვანელოებზე. ასევე, ნაწილობრივ გამოყენებულია რუსული ლიტერატურა, თუმცა მოთხოვნა არ არის რუსული ენის ცოდნა, ამან შესაძლოა შექმნას გარკვეული სირთულეები. ასევე, გარე შეფასებას აქვს ფორმალური ხასიათი და შინაარსობრივად არ არის ღირებული პროგრამის განვითარებისთვის. დისერტაციებში არ არის ჩამოყალიბებული კვლევითი სახის კითხვები და არც ჰიპოთეზები. მან ხაზი გაუსვა ლიტერატურის მიმოხილვების სიმცირეს. „საინჟინრო მენეჯმენტის“ პროგრამასთან მიმართებით აღინიშნა, რომ მეშვიდე სწავლის შედეგი გადასახედი და შესასწორებელია იმ მხრივ, რომ არის ძალიან ვრცელი.

დავით მახვილაძემ გამოყენებით ლიტერატურასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამ მიმართულებით დაწესებულებას ყურადღება აქვს გამახვილებული და უნივერსიტეტში უკვე სპეციალური მექანიზმებია შექმნილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:28
დასრულების დრო: 17:59

პროგრამა 1: საინჟინრო მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 20 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 20 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამა 2: ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგ რამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 20 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 20 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამა 3: სამეწარმეო მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამეწარმეო მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 20 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამეწარმეო მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 20 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამა 4: საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 20 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 20 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამა 5: ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 20 თებერვლამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 20 თებერვლამდე.

პროგრამა 6: საჯარო მმართველობის რუსულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" რუსულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 20 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" რუსულენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 20 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამა 7: საჯარო მმართველობის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგ რამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 20 თებერვლამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 20 თებერვლამდე.

მეორე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამართალი;
საფეხური: დოქტორანტურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის დოქტორი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0421 სამართალი;

სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 42;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა დიმიტრი ჯაფარიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურეს, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ თავიანთი პოზიციები.
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა პანელის თავმჯდომარის, ხოსე მარია დე დიოს მარსერის (José Maria de Dios Marcer), პოზიცია აღნიშნული პროგრამის შეფასების საკითხთან დაკავშირებით წარადგინა ცენტრის თარჯიმანმა, ნინო ჩიტიშვილმა: ამ განცხადებაში შევეხები ორ მთავარ ასპექტს: ჩემს პოზიციას შესაფასებელ პროგრამასთან დაკავშირებით და თვითონ პროგრამის შეფასების დეტალებს. შესაფასებელ პროგრამასთან დაკავშირებით, ჩემი პოზიცია შემდეგია: მინდა, გამოვხატო სრული მხარდაჭერა პროგრამისადმი. ჩემი აზრით, ეს არის, არა მხოლოდ აკადემიური წარმატება, არამედ არის კარგად ორგანიზებული, და წარმოადგენს ნებისმიერი პრესტიჟული სამართლის სკოლის საგანმანათლებლო შეთავაზების ძირითად აკადემიურ შემავსებელ ნაწილს. ამ კუთხით, მინდა, ყურადღება გავამახვილო სამართლის ფაკულტეტის ძალისხმევაზე, ამ პროგრამის განხორციელებისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია, შევაფასოთ ძალიან პოზიტიურად ის ბალანსი, რაც არსებობს ამ ძალისხმევასა და პროგრამის განხორციელების მედეგობას შორის. ეს ბალანსი ხაზს უსვამს ჩართული სასწავლო პერსონალის სერიოზულ მზაობას, რომლებიც გვთავაზობენ ადგილთა გარკვეულ ოდენობას მათი შესაძლებლობების შესაბამისობის ფარგლებში. ეს ბალანსი წარმოადგენს ერთ-ერთს იმ რამდენიმე გარანტიას შორის, რაც გამოკვეთს შეთავაზებული სადოქტორო პროგრამის სერიოზულობასა და ხარისხს. მეორე მხრივ, დოქტორანტურის კანდიდატებისთვის წაყენებული მოთხოვნები აკადემიური, ასევე კომპეტენციის არის გარანტია მათი მკაცრი შერჩევისა, კურსის წარმატებით დასრულებისთვის და თუ ამას ღირსეულად შეძლებენ, მიენიჭებათ სამართლის დოქტორის აკადემიური წოდება. რაც შეეხება შემავსებელ სწავლებას, რასაც სადოქტორო პროგრამის კანდიდატები გაივლიან სადოქტორო თეზისზე მუშაობის პროცესში, არა მხოლოდ გაუხსნის მათ გზას თავიანთი ცოდნის ინტერნაციონალიზაციისკენ, არამედ შეიტანს წვლილს ზოგადად საქართველოს უნივერსიტეტებში მასწავლებელთა/პროფესიონალთა მომზადების საქმეში. პროგრამის შეფასების დეტალებს რაც შეეხება, ყველა პროცედურა, საქართველოს კანონმდებლობით მიერ დადგენილი, ზედმიწევნით იქნა დაცული. ეს ყველაფერი ხდებოდა განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის

მეთვალყურეობით და მინდა, გამოვხატო მათ მიმართ ჩემი გულწრფელი მადლიერება გაწეული შრომისთვის, რადგან იყვნენ ხელმისაწვდომნი და გამოხატავდნენ მხარდაჭერას ექსპერტთა ჯგუფის მიმართ, მთელი ამ პროცესების განმავლობაში. მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ცენტრის თანამშრომელს, ქ-ნ თათია მამრიკიშვილს, შესაბამისი კვალიფიკაციისა და თავდაუზოგავი შრომისთვის. რაც შეეხება თვითონ დეტალებს, სხვადასხვა აქტივობა განხორციელდა სხვადასხვა დროს, რაც დასრულდა დასკვნითი პროექტის შექმნით, წარმოდგენილი თქვენ წინაშე. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, შესაფასებელი სადოქტორო პროგრამის სამართლის ფაკულტეტის პირისპირ შეხვედრების მნიშვნელობა, სადაც ექსპერტთა ჯგუფის უკლებლივ ყველა წევრი იყო ჩართული. ჩვენ გვქონდა საშუალება, დიალოგი გაგვემართა და მიგვეღო პირველადი ინფორმაცია სხვადასხვა დაინტერესებული მხარისაგან, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროგრამის შემუშავებაში, მენეჯმენტსა და განხორციელებაში. ამასთანავე, მნიშვნელოვანი იყო, რომ გვყავდნენ სამოქალაქო საზოგადოებიდან წარმოდგენილი პროფესიონალები, რომლებმაც გამოკვეთეს თავად საზოგადოებისთვის, ზემოაღნიშნული პროგრამის შეთავაზების ძირითადი არსი და მნიშვნელობა. ამ გზით ჩვენ შევძელით, დაგვემოწმებინა ორივე: როგორც აკადემიური წინადადების სიცოცხლისუნარიანობა, ასევე ხარისხი და მისი კავშირი სამართლებრივ და სოციალურ მოლოდინებთან. ამ კუთხით, თვითონ ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის გამართული დისკუსიაც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად. რელევანტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შევძელით საბოლოო დასკვნის პროექტის შედგენა, რომელიც გაეგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, ეს ანგარიში გადაუგზავნა უნივერსიტეტს თავისი კომენტარებისა და არგუმენტებისთვის. საბოლოოდ, ყოვლისმომცველ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჩვენ შევიმუშავეთ საბოლოო დასკვნა, შეთავაზებული მითითებებით, ექსპერტთა ჯგუფი აფიქსირებს პროგრამის აკრედიტაციისთვის დადებით განწყობას და მხარს უჭერს სადოქტორო პროგრამის განხორციელებას. ის იქნება ძალიან ფასეული როგორც ფაკულტეტისთვის, რომელიც ამ პროგრამას სთავაზობს საზოგადოებას, ასევე სტუდენტებისთვის, რომლებიც იქ ისწავლიან, ასევე, უნივერსიტეტისთვისა და ზოგადად, მთელი ქართველი საზოგადოებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ რეკომენდაციების შესახებ მათი პოზიციები არგუმენტირებულ პოზიციაში იყო ასახული, ამავდროულად მან მოკლედ აღწერა პროცესი და აღნიშნა რომ დასკვნაში იყო საუბარი ასისტირების კომპონენტზე და უფრო მკაფიო კავშირზე მასსა და პროგრამას შორის, რაზეც დაწესებულებამ იმსჯელა, რომ უფრო მკაფიო ყოფილიყო ამ ნაწილში პროგრამის სწავლის შედეგი. განსაკუთრებით ბოლო სწავლის შედეგის ფორმულირება შეიცვალა. ადრე თუ იყო ცოდნის ტრანსფერის უნარი ასახული ამ სწავლის შედეგში აუდიტორიაში, ამ შემთხვევაში ეს არის სწავლებასა და ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული უნარების გამოვლენა და მკაფიო გახდა კავშირი ასისტირებასა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის. ასევე, რეკომენდაციის შედეგად დაზუსტდა ასისტირების კომპონენტზე თუ რამდენი კრედიტის, რომელ კომპონენტში დაგროვება იქნებოდა შესაძლებელი სტუდენტისთვის, რომ მას ეს პროცესი შესაბამისად დაეგეგმა. ასევე, იყო ხარვეზი ასისტირების დოკუმენტში, იქ არ იყო ასახული შეფასების რუბრიკები და ესეც აისახა დაწესებულების მიერ. 4.2 კომპონენტთან მიმართებაშიც იყო გარკვეული ხარვეზები, რადგან დებულების დოკუმენტში დაწესებულებას ერთგან ეწერა, რომ დარგობრივი საბჭოს წევრი შეიძლება იყოს "ემერიტუსი" პროფესორი, თუმცა ამ სკოლაში არ ჰყავს მათ "ემირიტუსი" პროფესორი, თუმცა დებულების სხვა ნაწილში არ იყო ეს მითითებული, ან რეფერენსით გაკეთებულ "ემერიტუსზე", ამიტომ ეს დაკორექტირდა ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გოჩა თუთბერიძემ ხაზი გაუსვა 4.2 კომპონენტს, რომელშიც რეკომენდებულია, დაწესებულებამ აცნობოს თანახელმძღვანელებს პროგრამით გათვალისწინებულ სიაში მათი ჩართვის შესახებ და ა.შ. ანუ აღმოჩნდა, რომ მითითებულნი არიან უცხოელი ხელმძღვანელები თანახელმძღვანელებად და მათ ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ. მან კითხვით მიმართა დაწესებულებას და აინტერესებდა, ადასტურებს თუ არა ამას და რატომ მოხდა ასე.
დაწესებულების წარმომადგენელმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ განმარტა, რომ როდესაც დაწესებულებამ პროგრამაზე მუშაობა დაიწყო, მაშინ ჯერ კიდევ ახალი სადოქტორო სტანდარტი არ იყო შემუშავებული, თუმცა პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტი ეცადა, რომ ყველა ის გამოწვევა, რაც ახალ სტანდარტში იქნებოდა ასახული ყოფილიყო პროგრამაში, და შესაბამისად, ინტერნაციონალიზაცია იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი პროგრამის, მათ შორის, უცხოელი თანახელმძღვანელების ჩართვა პროცესში და ეს ასახული იყო ყველა დოკუმენტში. უნივერსიტეტს აქვს წერილობითი თანხმობები, შეთანხმებები, არსებობს მათთან კომუნიკაცია, სადაც ისინი აცხადებენ, რომ მზად არიან დახმარება გაუწიონ დოქტორანტებს.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ, დაამატა რომ მათ საერთაშორისო ექსპერტებისგან შემდგარი “ბორდები”, ყველა სადოქტორო პროგრამაში ჰქყავთ და “ბორდს” რამდენიმე ფუნქცია აქვს, მათ შორის ერთ-ერთი ფუნქცია არის ხემძღვანელობა ან თანახელმძღვანელობა, მაგრამ ეს არ არის სავალდებულო ყველასთვის და რაც შეეხება ხელმძღვანელობას/თანახელმძღვანელობას, ცალკე დგება ხელშეკრულება/შეთანხმება, დოქტორანტის ინდივიდუალური სადოქტორო კვლევებიდან და ხელმძღვანელების ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ინტერპრეტირება ისე რომ ყველა წევრი ვინც არის მითითებული როგორც საერთაშორისო "ბორდის" წევრი, აუცილებლად ყველა უნდა იყოს ხელმძღვანმრლი ან თანახელმძღვანელი, ასეთ ვალდებულებას დაწესებულება მათ არ ანიჭებს, მათ შეუძლიათ იყვნენ ასევე “რივიუერები”, გარე შემფასებლები და არ იყოს პროგრამაში ჩართული როგორც მეორე ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი, ეს ფუნქციები გაწერილია დაწესებულების მიერ კურიკულუმში და შემდეგ როდესაც უშუალოდ ინსტიტუცია მიიღებს დოქტორანტებს და ცნობილი იქნება მათი სადოქტორო კვლევები, მოხდება ამ "ბორდთან" კომუნიკაცია და შეთანხმდება ვინ იქნება ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ პუბლიკაციებთან დაკავშირებით კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, უნდა იყოს თუ არა პუბლიკაცია უშუალოდ დაკავშირებული დისერტანტის კვლევასთან და შეიძლება თუ არა, ჩაეთვალოს დოქტორანტს სრულიად სხვა თემასთან და არა კვლევასთან დაკავშირებული პუბლიკაცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ განმარტა, რომ სადოქტორო დებულებაში წერია, რომ დოქტორანტის მიერ საერთაშორისო გამოქვეყნება, რომელიც უნდა შედიოდეს შესაბამის ბაზებში, უნდა იყოს შესაბამისი მის სადოქტორო კვლევასთან. ამ შესაბამისობას ადგენს და ადასტურებს დარგობრივი კომისია, შესაბამისი პროცედურის დაცვით და მხოლოდ ამის საფუძველზე პუბლიკაცია მიდის ხარისხის მართვის სამსახურში, იმისთვის რომ დადასტურდეს, შედის თუ არა ჟურნალი, სადაც არის ნაშრომი გამოქვეყნებული იმ ბაზებში, რაც განსაზღვრული არის დებულებით, ეს არის პრაქტიკა რაც დაწესებულებას აქვს სადოქტორო პროგრამებში, რომელიც მუშაობს.
სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა მესხმა აღნიშნა, რომ ეს პროგრამის კურიკულუმშიც არის მითითებული.
საბჭოს თავნჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, დააზუსტა დაწესებულებასთან რომ დოქტორანტს აუცილებლად მოეთხოვება ერთი პუბლიკაცია მაინც, რომელიც არის კვლევასთან დაკავშირებული და შეიძლება დანარჩენი პუბლიკაციები ჰქონდეს სხვა სფეროსთან დაკავშირებით.
პროგრამის ხელმძღვანელმა, კოტე ჩოკორაიამ დასძინა რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პრაქტიკიდან გამომდინარე, რაც სადოქტორო პუბლიკაციებს შეეხება, ძალიან მაღალი მოთხოვნებია და მნიშვნელოვანია რომ მთელი კონცეფცია სადოქტორო პროგრამის და

არა მხოლოდ ეს, არამედ ყველა მიმართულება, რაც შეიძლება მაღალ ხარისხზე უნდა იყოს გათვლილი და დაწესებულების ამოცანაც არის ის, რომ რაც შეიძლება მაღალი ხარისხის სადოქტორო პროგრამა იქნას შეთავაზებული.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, 4.2 კომპონენტთან დაკავშირებით კითხვით მიმართა დაწესებულებას.მან დააზუსტა ინფორმაცია, ჰქონდათ თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულებას დოქტორანტების თანამხელმძღვანელებისაგან თანხმობები მიღებული.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ ფორმალური ხელშეკრულებები გაფორმებული არ არის მათთან, იქიდან გამომდინარე, რომ მათ ჯერ არ ჰყავთ სტუდენტები და აღნიშნული პროგრამა ჯერ არ მოქმედებს. მოლაპარაკებები ჯგუფთან გაიმართება მეორე ხელმძღვანელობაზე ან თანახელმძღვანელობაზე მას შემდეგ, რაც პროგრამა უკვე დაიწყებს დოქტორანტების მიღებას იმ სამი ძირითადი კვლევითი მიმართულებით, რომლებიც პროგრამაში არის განსაზღვრული.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, შედგა თუ არა ინტერვიუ ამ პირებთან. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიორგი მახარობლიშვილმა აღნიშნა, რომ მთავარი მოცემულობა იყო ის, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ერთ-ერთ თანახელმძღვანელად იყო მოხსენებული და მასთან არანაირი სახის კომუნიკაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, კოტე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ ეს იყო ტექნიკური ნაწილი. მან განაცხადა, რომ მათ აქვთ წერილობითი დასტური ამასთან დაკავშირებით, რაც მათ მიერ არის ხელმოწერილი.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, დატოვა სხდომა მიმდინარეობისას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:17
დასრულების დრო: 18:45

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2026 წლის 1 ივლისამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “სამართლის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2026 წლის 1 ივლისამდე.

მესამე საკითხი: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საჯარო მმართველობა;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 180.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ (ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს ვასილ კიკუტაძემ და ციური დურულმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტთა პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ თავიანთი პოზიციები.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნატალი გურვიჩის პოზიცია დამსწრეებს გააცნო ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა გიორგი ირემაშვილმა. ნატალი გურვიჩის თქმით, ვიზიტის განმავლობაში მათ შეექმნათ დადებითი შთაბეჭდილება როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ასევე კონკრეტულად საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა უნივერსიტეტის დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრს, მათ შორის, ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვანელებს, თვითშეფასების ჯგუფს, ხარისხის უზრუნველყოფის გუნდს, აკადემიურ პერსონალს, დეპარტამენტების წარმომადგენლებს, დამსაქმებლებს, კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებს. ყველა მონაწილე გამოირჩეოდა თანამშრომლობის მზაობით, რაც ხელს უწყობდა ღია და კონსტრუქციულ დისკუსიებს. ექსპერტთა ჯგუფი გამოხატავს გულწრფელ მადლობას თანამშრომლობისთვის, ღირებული უკუკავშირის მოწოდებისა და მეგობრული ატმოსფეროსთვის. ნატალი გურვიჩის პოზიცია შემდეგია: ჩვენ გამოვავლინეთ პროგრამის რამდენიმე მნიშვნელოვანი ძლიერი მხარე. ექსპერტთა ჯგუფზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა სასწავლო ობიექტების ხარისხმა, ინტერნაციონალიზაციის კუთხით მიღწეულმა პროგრესმა, რაც დადასტურდა თანამშრომლობის მემორანდუმებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გარემოს დადებითი ასპექტებით და აკადემიურ პერსონალთან ურთიერთობებით, რაც მაღალ დონეზეა შეფასებული სტუდენტების მიერ. გარდა ამისა, მივიჩნევთ, რომ პროგრამა კარგად შეესაბამება ბაზრის მიმდინარე საჭიროებებს, განსაკუთრებით ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით.

რეკომენდაციებთან დაკავშირებით, ჩვენ განვსაზღვრეთ შემდეგი: რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი იყოს გამჭვირვალე და ყველასთვის გასაგები. რეკომენდებულია, გაძლიერდეს პროგრამის პოლიტიკის განზომილება "პოლიტიკის ანალიზის" სპეციალური კურსის დამატებით. რეკომენდებულია, განხორციელდეს "კვლევის მეთოდების" კურსის რესტრუქტურიზაცია. კერძოდ, Excel-ის და SPSS-ის გამოყენებით გაფართოვდეს პროგრამული ანალიზის სწავლება. ალტერნატიულად, რეკომენდებულია, ორიენტაცია მოხდეს მხოლოდ Excel-ის ან SPSS-ის პრაქტიკულ სწავლებაზე, სადაც მინიმუმ 2-3 ლექცია დაეთმობა პრაქტიკულ გამოყენებას. რეკომენდებულია, გაფართოვდეს ძირითადი ლიტერატურა და ძირითად საკითხავ მასალას დაემატოს პოლიტიკის შემთხვევების შესწავლა. ჩვენ ასევე დასკვნაში წარმოვადგინეთ რამდენიმე რჩევა პროგრამის კონკურენტუნარიანობის და პოტენციურად სტუდენტების უფრო დიდი რაოდენობის მოზიდვისთვის, პროგრამის მიმზიდველობის გასაძლიერებლად. აღნიშნული რჩევები დეტალურად არის აღწერილი ჩვენს საბოლოო დასკვნაში, რომელშიც მიმოხილულია ჩვენი მიგნებები და შეთავაზებული გაუმჯობესებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით ბოსტოღანაშვილმა, ყურადღება გაამახვილა 1.3 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციაზე, რომელშიც რეკომენდებულია, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ჩამოყალიბდეს გამჭვირვალედ და ყველასათვის გასაგებად. პროგრამის სწავლის შეფასების მექანიზმი აპრობირებულია უნივერსიტეტში და გამოიყენება ანალოგიურ პროგრამებთან მიმართებით. დასკვნაში მითითებულია, რომ პერსონალის ყველა წევრი არ ფლობს ინფორმაციას, თუ როგორ მუშაობს პროგრამის სწავლის მექანიზმი. პროგრამის სწავლის შედეგების გეგმის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგებს აფასებს თავად ამავე პროგრამის კომიტეტი. სწავლის შეფასების სისტემაში უზრუნველყოფილია გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და, ცხადია, რომ სწავლის შეფასების სისტემას კარგად იცნობს კომიტეტიც და ფაკულტეტის ადმინისტრაცია. ამიტომ ეს არ უნდა იყოს რეკომენდაციის კატეგორიაში აღნიშნული. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ახალი პროგრამის შემუშავების კვალდაკვალ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების მაღალი ჩართულობითი პროცესის წარმართვა, მათ შორის, ინფორმირებულობა სწავლის პროცესის შედეგებისა და მათი შეფასების შესახებ. უნივერსიტეტი ამ რეკომენდაციას ვერ იზიარებს, რადგან თავად ექსპერტთა დასკვნაში არ ჩანს, თუ რატომ მიაჩნიათ მათ ეს მექანიზმი გაუმჭვირვალედ. უნივერსიტეტმა ეს რომ მიიღოს როგორც რეკომენდაციად, გარკვეული მოქმედების გეგმის განსზღვრა შეუძლებელია, რადგან გაუგებარია რატომ არის ეს რეკომენდაცია გაცემული, თუ ეს იქნებოდა როგორც რჩევა გაცემული, გასაგები იქნებოდა რადგან სასურველია როდესაც ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი ერკვევა ამ მექანიზმის მოქმედების დეტალებში, მაგრამ ის რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული, მაშინ, როცა სხვა ანალოგიური პროგრამების აკრედიტაციის პროცესში ასეთი პოზიცია სხვა ექსპერტების მიერ ჯერ არ დაფიქსირებულა. აქვე, 1.4 კომპონენტში არის რეკომენდაცია, რომ უნდა გაძლიერდეს პროგრამის პოლიტიკის განზომილება პროგრამის ანალიზის სპეციალური კურსის მეშვეობით. უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის თანახმად, რომელიც ეფუძნება 2023 წლის "სიგმას" პრინციპებს, ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტმა უნდა გამოიმუშაოს შესაბამისი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით საჯარო პოლიტიკის კომპეტენცია, ხოლო სამაგისტრო დონეზე შესაბამისი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით საჯარო პოლიტიკის ანალიზისა და რეგულირების ზემოქმედების ანალიზის კომპეტენცია. დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა შესაბამისად, საბაკალავრო საფეხურზე, აღნიშნულ კომპეტენციათა გამომუშავებას ემსახურება ორი სავალდებულო კურსი: ესაა „შესავალი საჯარო მმართველობაში“ და „საჯარო პოლიტიკა“, ხოლო სამაგისტრო დონეზე ორი სავალდებულო კურსი - „საჯარო პოლიტიკა“ და

„პოლიტიკის ანალიზი“. ასწავლო კურსში “შესავალი საჯარო მმართველობაში“, სტუდენტები შეისწავლიან საჯარო მმართველობის მიზნებს, ამოცანებს, მოსალოდნელ შედეგებს, მართვისა და მონიტორინგის მექანიზმებს, საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში, სტუდენტები შეისწავლიან საჯარო პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციის საკითხებს, კერძოდ საჯარო პოლიტიკის დაგეგმვას, დოკუმენტების სახეებს, მათ ხარისხობრივ მაჩვენებელს, პოლიტიკის დაგეგმვის ინსტიტუციურ შესაძლებლობებს, ქვეყანაში მოქმედი ანგარიშგებისა და შეფასების სისტემებს, შესაბამისი ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილ პრობლემებს და მათი გადაჭრისათვის საჭირო ამოცანებსა და აქტივობებს. სასწავლო კურსი “საჯარო პოლიტიკის” ფარგლებში კი შეისწავლიან, საჯარო პოლიტიკის ანალიზის მეთოდოლოგიურ თავისებურებებსა და საჯარო პოლიტიკის კვლევის მეთოდებს, აღსანიშნავია რომ სტუდენტი პრაქტიკული დავალების ფარგლებში ასევე აანალიზებს საჯარო პოლიტიკის პროცესის ცალკეულ პრობლემებს და ავითარებს მათი გადაწყვეტის შესაბამის გზებს, გადაწყვეტილებათა მიღების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, შესაბამისად, საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტი იღებს ფართო თეორიულ ცოდნას, საჯარო პოლიტიკის ანალიზის მეთოდოლოგიური თავისებურებებსა და საჯარო პოლიტიკის კვლევის მეთოდების შესახებ, ხოლო სამაგისტრო საფეხურზე უკვე ღრმა და სისტემურ ცოდნას, საჯარო პოლიტიკის ანალიზის, ბუნების ციკლისა და მოდელების პოლიტიკის ანალიზის მეთოდების შესახებ. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, დაწესებულება თვლის რომ რეკომენდაცია სცილდება დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს და რომ მათ გაუჭირდებათ ამ რეკომენდაციის შესრულება. 1.5 კომპონენტში - რეკომენდებულია, განხორციელდეს კვლევის მეთოდების კურსის რესტრუქტურიზაცია. კერძოდ, გაფართოვდეს პროგრამული ანალიზის სწავლება Excel-ისა და SPSS-ის გამოყენებით. ასევე, შესაძლებელია მხოლოდ Excel-ის ან SPSS-ის პრაქტიკული სწავლება, რასაც, სულ მცირე, 2-3 ლექცია დაეთმობა. რეკომენდაცია მომდინარეობს იქიდან, რომ შეუძლებელია, სტუდენტმა მოკლე დროში დაძლიოს ეს რთული მასალა. აღსანიშნავია, რომ სავალდებულო სასწავლო კურსი კვლევის მეთოდები მიზნად ისახავს სტუდენტს მისცეს ფართო თეორიული ცოდნა, კვლევის ბუნების, ემპირიული კვლევის საფუძვლების, კვლევის მეთოდოლოგიის, კვლევის თემატიკის ფორმულირებისა და განმარტების, რაოდენობრივი კვლევის დიზაინისა და ეთიკის საკითხები და სხვა. ასწავლო კურსის თემატიკა ეფუძნება და მისდევს უახლეს სასწავლო მასალას, მათ შორის წულაძის იმპერიული კვლევის მეთოდები 2023 წლის, წულაძის სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები 2020 წელი, სუთიძე, შუბითიძე, გელაშვილი, ხიდაშელი, კვლევის მეთოდების სახელმძღვანელო 2024 წლის. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სავალდებულო სასწავლო კურსი კვლევის მეთოდები ისწავლება არა მხოლოდ საჯარო მმართველობის, არამედ ფსიქოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამებზეც. ამასთან, აღნიშნულ სასწავლო კურსთან მიმართებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები უნივერსიტეტის მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული და დადებითად შეფასებული. სასწავლო კურსის შედეგები არაერთხელ იქნა შეფასებული უნივერსიტეტის მიერ და შეფასების შედეგებით მისი გადახედვის საჭიროება არ დამდგარა. ასევე, რეკომენდებულია ძირითადი ლიტერატურის გამრავალფეროვნება და ძირითად სასწავლო მასალაში პოლიტიკის შემთხვევების შესწავლის გათვალისწინება. აღნიშნული რეკომენდაცია შეეხება მხოლოდ ერთ სასწავლო კურსს, რომელშიც სასწავლო ლიტერატურად გამოყენებულია ქართული სახელმძღვანელო მაია ამირგულაშვილის ავტორობით - „საჯარო პოლიტიკის პროცესი და ანალიზი“, 2018 წლის. ამ რეკომენდაციასთან მიმართებით, ალბათ, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აკადემიური პერსონალი თავად იღებს გადაწყვეტილებას თუ რომელ სახელმძღვანელოს დაეყრდნობა სწავლის პროცესში. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტი და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი განიხილავს ამ საკითხს, კონკრეტულ სასწავლო კურსთან მიმართებით, აქ ნაგულისხმებია, იმ ქართულენოვანი სასწავლო რესურსებისა რომელიც უკვე გამოიყენება ოღონდ სამაგისტრო საფეხურზე, საჯარო მმართველობის სწავლებისას.

დავით ბოსტოღანაშვილმა, აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში, დაწესებულება შეასრულებდა რეკომენდაციას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც Excel-ზე და SPSS-ზე იყო საუბარი, აღნიშნა, რომ ამ რეკომენდაციის ფესვები არის ის, რომ საჯარო მმართველობა 0413 დეტალური სფეროს ქვეშაა, ეს არის "მენეჯმენტი და ადმინისტრირება" და ამდენად, მხოლოდ სოციალური კვლევებით შემოფარგვლა არ იქნება სწორი. ეს არის საკანონმდებლო მოცემულობა, რომელიც 0413-ის ქვეშ გაერთიანებულ პროგრამებს მიემართება. ამდენად, ექსპერტებს უნდათ კვლევა იყოს მისადაგებული მენეჯმენტისა და ადმინისტრირების სპეციალობებთან, სადაც SPSS და Excel-ი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ზოგადად სოციოლოგიის კვლევის მეთოდები. ზუსტად ამავე მიმართულებით არის მეორე საკითხი მოცული, ვინაიდან ეს არის 0413-ის ქვეშ, ყველა სფერო რაც არის ამ კოდის ქვეშ, მეტ-ნაკლებად ყველაფერი უნდა იყოს მოცული. მენეჯმენტი და ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში, ფუნდამენტური კურსი, "მარკეტინგის საფუძვლები" აუცილებელია. დაწესებულებას აქვს ამის შესაძლებლობა, მაგალითად არსებობს, პოლიტიკური მარკეტინგის კურსი, თუმცა არის არჩევითი და უნდა გახდეს სავალდებულო, რაც მოხსნის აღნიშნულ საკითხს.
დავით ბოსტოღანაშვილმა განმარტა, რომ ინსტიტუცია იზიარებდა ამ რეკომენდაციას.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ ვინაიდან კვლევის მეთოდები ისწავლება, უმჯობესი იქნება თუ სტატისტიკის რაიმე ელემენტები იქნება შეტანილი წინაპირობად, ეს იქნება Excel, SPSS თუ სხვა, მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ შემდგომში სტუდენტებს ამით უფრო გაუადვილდეთ კვლევის მეთოდების სწავლა. გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა კარგად არის შემუშავებული, პასუხობს დარგობრივ მოთხოვნებს, მაგრამ აქვე, რჩევის სახით დაამატა, რომ კარგი იქნებოდა არჩევით სასწავლო კურსში დაწესებულებას დაემატებინა "ეროვნული ანგარიშთა სისტემა", რადგან საჯარო ადმინისტრირების კურსდამთავრებულებს დაეხმარებათ საჯარო სამსახურებში სხვადასხვა პოზიციებზე დასაქმებაში, ეს იქნება ფინანსთა სამინიტრო, ეკონომიკის სამინისტრო, ეროვნული ბანკი თუ სხვა.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იმუშავებს ამ მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ, დატოვა სხდომა მიმდინარეობისას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:46
დასრულების დრო: 19:21

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის 7 წლის ვადით მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის “საჯარო მმართველობის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 20 თებერვლამდე.

ყველა საკითხის დასრულების შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 2 0 თებერვლის 19:22 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

ელექტრონული ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ელექტრონული